

აუქციონი საქრავლოს თავმჯდომარეობისთვის ბაიხსნა

თავარ მკვლევარი

მათთვის, ვინც საკრავლოს არჩევნებში 4-პროცენტის ბარიერი გადალახა, ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი დღეიდან იწყება. პარტიები საკრავლოს თავმჯდომარის სავარძელს შეუტევენ. ამის პარალელურად, თბილისური პოლიტიკა საკრავლოს კომისიებისა და ვიცე-პრეზიდენტებისთვისაც ვაჭრობს.

ექვსეულიეტიანი საკრავლოდან უმრავლესობას, ალბათ, "ლეიბორისტები", "ახალი მემარჯვენეები", "მრეწველები", "ალორმინები" და "ერთობა" შექმნიან. როგორც ჩანს, მათ შორის ძირითადი შეთანხმება უკვე შედგა. თანაც, მათი მანდატების საერთო ჯამი საკმარისია იმისათვის, რომ თავმჯდომარის პოსტზე მათთვის მისაღები კანდიდატურა გავიდეს. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ ვის ინტერესებსა და ფინანსებს გაუწევინებენ ანგარიშს 2 ივნისის არჩევნების გამოცემის - ქართველი ლეიბორისტები.

დღეს განვითარებული მოვლენები ძალზე წააგავს 1998 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდგომ

პერიოდს. მაშინ ნათელაშვილის გუნდმა მეორე შედეგი აჩვენა. შესაბამისად, საკრავლოში ძალთა გადანაწილება მთლიანად იყო დამოკიდებული იმაზე, თუ რა პოზიციას დაიჭერდნენ ლეიბორისტები. მათმა გამარჯვებამ საქართველოს სხვა დიდ ქალაქებშიც საგრძნობლად აჭრა საერთო ფონი. თუმცა, მოგვიანებით ლეიბორისტული ბუმი ჩაცხრა და მომდევნო 4 წლის მანძილზე ლეიბორისტული ფრაქციები ერთმანეთის მიყოლებით დაიშალა. დაიშალა ის ოპოზიციური ერთობაც, რომლის ბურჯად თავად ლეიბორისტები შველვანათელაშვილს მიიჩნევდნენ. სხვათა შორის, 15 ნოემბრის არჩევნების შედეგების გამოქვეყნებისთანავე, "სახალხო პარტიის" წარმომადგენელმა გიზო მჭედლიძემ ლეიბორისტებს "სამარჯაო ცხენიც" კი უწოდა და განცხადა, რომ ისინი დამოუკიდებლად ნამდვილად ვერ შეძლებდნენ არჩევნებში გამარჯვებას. მისივე მტკიცებით, ნათელაშვილს მაშინ "მოქალაქეთა კავშირი" დაეხმარა.

ბაზრკაძეაბა A2 გვარდუა

აფხაზეთის მომავალი საქართველოს კონსტიტუციამ უნდა განსაზღვროს

ვერიკო თავჯაძი

გუშინ "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" წარმომადგენელმა ზვიად ძიძიგურმა და აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მეთაურმა თამაზ ნადარეშივილმა ურთიერთგაგებობის შედეგად განაცხადეს, რომ, თუ საქართველოს პარლამენტი 20 ივნისის სხდომის დღის წესრიგში აფხაზეთის საკითხს არ შეიტანს, ქუჩის აქციებს მოაწივებს. მათ მხარს დაუჭირეს "ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებიც.

ჯერჯერობით საეჭვოა, განიხილავს თუ არა საკანონმდებლო ხელისუფლებაში ამ პრობლემას.

თამაზ ნადარეშივილი, "ეროვნულ ძალთა გაერთიანების" წარმომადგენლები, "ნაციონალისტი" კომპა

ღვიძარაშვილი და "მრეწველი" მხატვარმა ხმალაძემ მოითხოვეს, საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანას. კერძოდ, ცვლილებები კანონში უნდა დაფიქსირდეს, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა შედის საქართველოს შემადგენლობაში.

კობა დავითაშვილის აზრით, საქართველოს ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს აფხაზეთის საკითხის ინტერნაციონალიზებას: "ჩვენი ხელისუფლების მიზანია, აფხაზეთის სტატუსი საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე განისაზღვროს. სინამდვილეში, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის არსებობის წყარო უნდა გახდეს საქართველოს კონსტიტუცია".

ბაზრკაძეაბა A3 გვარდუა



REUTERS

გააკეთებს საქმეს ინალ კაზანი?

ვერიკო თავჯაძი

საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესა და ანერკაში აფხაზეთის დიასპორის ხელმძღვანელ ინალ კაზანს შორის, დახურულ კარს მიღმა გამართულ, შეხვედრას მამუალ პარამეტრებს უნდა ვადავებდეთ.

"შევარდნაძისათვის დასაშვებია მოსაზრება, რომ ინალ კაზანმა ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში მონაწილეობის უფლება მოიპოვოს. საქართველოს პრეზიდენტის აზრით, კარგი იქნება, თუ ამგვარ დიალოგს თურქეთში ქართული დიასპორის ხელმძღვანელმა შევარდნაძემ დაეხმარა, იგივე მუსხაშვილმა დაეხმარა",- განაცხადა "24 საათთან" საუბარში ბატონმა არეშიძემ.

პრეზიდენტის ვარაუდით, არც აფხაზეთის მხარე იტყვის უარს მოლაპარაკებებში დიასპორის ჩართვაზე. საბოლოოდ ეს საკითხი საერთაშორისო ინსტიტუტებთან შეთანხმებით უნდა გადაწყდეს.

აფხაზეთის ლეგიტიმური ხელისუფლების მეთაურის თამაზ ნადარეშივილის განცხადებით, ინალ კაზანის ჩარევა სამშვიდობო მოლაპარაკებებში უპერსპექტივოა. ნადარეშივილის აზრით, კაზანს არ აქვს სრული ინფორმაცია კონფლიქტის შესახებ და მას ეთნიკურ ძრილობაში განიხილავს.

ნადარეშივილი, ვისაც ორი წლის განმავლობაში მიმონერა ჰქონდა კაზანთან, ამბობს, რომ ინალ კაზანმა საქართველოში ვიზიტი მას შეუთანხმდა.

ბაზრკაძეაბა A3 გვარდუა

„ორივე მხარეზე ზეპირად იცის ერთმანეთის ინტერესები..“

სოფიკო ბუკია

ორთვიანი იძულებითი ტაიმ-აუტის შემდეგ, ქართულ-რუსული მხარეები ჩარჩო-ხელშეკრულებაზე მუშაობას განაგრძობენ. 12 აპრილს, კოდორის ხეობაში რუსული დესან-

ტის გადმოსხმის გამო ჩაშლილი შემდეგ რაუნდი, ამჯერად შედგა. სახელმწიფო დუმის დსთ-ს საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის ბორის პასტუშკოვისა და საქართველოს საგარეო უწყების მსჯელობის

ბაზრკაძეაბა A3 გვარდუა

თანგიუ კიტოვანის დახადების დღეა გიორგაძე მივიდა...არა იგორი, არამედ ვოვა...

რუსიდან ნიკარაძე

საკ. კორ. მოსკოვი

საქართველოს თავდაცვის ექსპერტიზის თანგიუ კიტოვანმა დახადების დღე მოსკოვში ყოველ ჩემს ნაბიჯს უთვალთვალავს, ზედმეტი მონდომება გამოიჩინა და რაღაცა აურია. სად არის დღეს იგორ გიორგაძე და რა აქვს გუნებაში, არ ვიცი და არც მაინტერესებს.

- ის ხომ იცით, რომ რუსეთის პარლამენტსა და მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში საქართველოს უშიშროების ყოფილ შეფს ბევრი თანამგერძობი ჰყავს?

- აქ მას მოსკოველი სამხედროების ერთი გარკვეული ჯგუფი უჭერს მხარს, ანუ მისი კოლეგები, რომლებიც, შევარდნაძის სიტულაციით, მისადმი სერიოზულად

გვირგაძე ნამდვილად იყო, მაგრამ არა იგორი, არამედ ვოვა - ჩემი მეგობარი, არქიტექტორი. ალბათ, ვიღაცამ, ვინც მოსკოვში ყოველ ჩემს ნაბიჯს უთვალთვალავს, ზედმეტი მონდომება გამოიჩინა და რაღაცა აურია. სად არის დღეს იგორ გიორგაძე და რა აქვს გუნებაში, არ ვიცი და არც მაინტერესებს.

- ის ხომ იცით, რომ რუსეთის პარლამენტსა და მოსკოვის პოლიტიკურ წრეებში საქართველოს უშიშროების ყოფილ შეფს ბევრი თანამგერძობი ჰყავს?

- აქ მას მოსკოველი სამხედროების ერთი გარკვეული ჯგუფი უჭერს მხარს, ანუ მისი კოლეგები, რომლებიც, შევარდნაძის სიტულაციით, მისადმი სერიოზულად

ბაზრკაძეაბა A8 გვარდუა

სამხედრო ბაზის გაქურდვის პოლიტიკური ვერსიები

ინგა ალავეიძე

ვაზიანის სამხედრო ბაზის გაქურდვის ფაქტზე აღძრული საქმე მთავარმა სამხედრო პროკურატურამ გუშინ ღამით ჩაიბარა. პროკურატურაში შექმნილ საგამოძიებო

ჯგუფს, რომელსაც სამხედრო პროკურორი ვია ჯიქია ხელმძღვანელობს, შს-ში და უშიშროების სამინისტროში შექმნილი სპეცგუგუები უწყვენ პარტნიორობას.

ბაზრკაძეაბა A7 გვარდუა

არასტარს მთავრობის
აღმარების ტერა

A5

ქარის ბავშვები ირანულ
ნაბოს "უკვეთა"

A6

ნიუ-იორკის გაფიქს
ნათელიაბა"

ბარდაიხვალა

A7

კომანი ყიდვის, ტაისონი
ყიდულობს

B4

გარდონა მტრებისთვის
იტარაბაბა

B8

აინფი

თბილისი	34	☀
ქუთაისი	34	☀
ბათუმი	33	☀
სოხუმი	34	☁
ფოთი	34	☀
თელავი	32	☀
ზუგდიდი	36	☀
ბორჯომი	30	☀

უხუთარი ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.2200
ევრო	2.0870
ფუნტი სტერლინგი	3.2337
რუბლი	0.0706

თანგიო კიბოვანის დაბადების დღეა ბიორბაძე მივიდა... არა იბორი, არამედ ვოვა...



მგონი, აუდას

პირველი გვირგვინი

არაინი განწყობილი, მაგრამ თვითონ გიორგაძემ ხომ მშვენივრად იცის, რომ საქართველოში მისი მანქანები ნოლის ტოლია - არანაირი პერსპექტივა არა აქვს. თუ რუსეთში მის სახელს რომელიმე სამხედრო ამოატივტივებს, ისიც საქართველოს პრეზიდენტის ჯინაზე, ეს არის და ეს. იგორ გიორგაძეს დღეს საქართველოში ჩამოსვლის ერთადერთი ვარიანტი აქვს - თუ რუსები საქართველოს ანექსიას მოახდენენ და ძალიან ჩაიყვანონ თბილისში, ძალიან ჩასვამენ პრეზიდენტის სავარძელში. ნებისმიერი სხვა ვაზა მისთვის მოჭრილია და ეს მან კარგად იცის.

- მოსკოვში ამ დღეებში ერთობის ლიდერი ჯუმაბერ პატიაშვილი იმყოფება, რომელიც ორიოდე დღის წინ "გელკონ-ოპერაში" მოსკოვის ქართულ დიასპორას შეხვდა. ამბობენ, რომ თქვენც ესწრებოდით იმ შეხვედრას-როგორ განწყობით არიან დღეს მოსკოვში მცხოვრები დევნილები?

- იმ შეხვედრაზე ძირითადად აფხაზეთიდან ლტოლვილები მოვიდნენ, საქართველოს დღევანდელი ხელისუფლებით უკმაყოფილო და განწყობილი ხალხი, რომელსაც შინ დაბრუნების ყველა იმედი გადაეწურა. ისინი არც პატიაშვილს უყურებენ დიდი ოპტიმიზმით. პატიაშვილთან შეხვედრის შემდეგ, ლტოლვილების უმრავლესობამ მიიზნა, რომ ისევ ის ძველი პატიაშვილი იხილეს და რომ იგი არ შეცვლილა. უკმაყოფილოებმა დატოვეს შენობა, რადაცა ახალს ველოდითო. არადა, მოსკოვში ოფიციალურად 60 ათასი დევნილია და დღეს ისინი ჩვენს ხელისუფლებას ფეხებზე ჰკიდია. ამიტომ მაინც უმრავლესობამ უკვე რუსეთის მოქალაქეობა მიიღო - აბა, რა ქნას ამ ხალხმა, მუშაობა ხომ უნდა და ოჯახების რჩენა? ისინი აფხაზეთში დაბრუნებულნი აღარ არიან, ყველა რუსეთში დაშვებულა.

- ამ დღეებში სოხუმში რუსეთის პასპორტების დარიგება დაიწყო, ამაზე ხომ არ გამახვილდა ყურადღება პატიაშვილთან დევნილების შეხვედრაზე?

- იყო ამაზეც ლაპარაკი, მაგრამ გამოითქვა მოსაზრება, რომ ძალიან კარგია, თუ სოხუმში მცხოვრები აფხაზები და რუსების თანამემამულეები რუსეთის მოქალაქეობას მიიღებენ და რუსეთში დაბრუნდებიან. ეს პროცესიც ჩვენმა ხელისუფლებამ მიუშვა და დროზე არ გააკონტროლა. ხელისუფლებამ დიდი ხნის წინათ იცოდა, რასაც გეგმავდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო, მაგრამ ჩუმად იყო, ახლა არ გაამიკვირდება, თუ იგივე ცხინვალშიც განმეორდება. რუსეთის დუმა რამდენიმე თვეა, ამაზე აქტიურად მუშაობს - ეს მე ვიცი და დავიჯერო, საგარეო საქმეთა სამინისტროში არ იციან? ჩემი მონაცემებით, იქაც ხალხი რუსეთის პასპორტების რიგში დგას, ჩვენი მთავრობა კი პროტესტის ნიშნებს მოლოდ ახლა წერს, როცა რუსეთმა უკვე დააკანონა ამ ხალხის გარუსება. აი, რა მიიღო ქართველმა ხალხმა შევარდნაძის დიდი პოლიტიკით. ამიტომ, ჩვენ უფლება არ გვაქვს, გულზე ხელდაკრფილები ვისხდეთ.

- თქვენ გინდათ თქვით, რომ მოსკოვში მცხოვრებ აფხაზეთიდან დევნილებს რაიმე აქვთ განზარაბული?

- მე არ გამოვიცხვებ, რომ სულ მალე მოსკოვში შეიქმნება "ნაციონალური მოძრაობის" აქაური, რეგიონული გაერთიანება. მისი შექმნა აქტიურად იმართება, რომ ამ ხალხის პრობლემებს ბოლოსდაბოლოს ვიცავდნენ ყურადღება უნდა მიექცის. ისინი ჩვენ, მოსკოვში ქართველების 60-ათასიანი არმია, სააკაშვილს დაეუფლებიან.

- თქვენ თუ პარტიულ თანამდებობაზე გადადის, მაშინ აფხაზეთს ვინ დაგვიბრუნებს, ბატონო თინგი?

- პარტიის ლიდერობა რომ მდომოდა, აქამდე ვიქნებოდი! რუსეთში სააკაშვილის მოძრაობას სათავეში სხვა კაცი ჩაუდგება - იგი მეცნიერი, ინტელიგენტი და პროგრესულად მოაზროვნე ადამიანია, ხოლო პარტიის მიზნები და დანიშნულება ამ დღეებში გადაწყდება და თქვენს გაზეთს პირველ რიგში ვაცნობებ.

- როგორი დამოკიდებულება აქვთ დღეს თქვენი ახალი მოძრაობის პოტენციურ წევრებს, 30 ივნისის შემდეგ, რუსეთის სამშვიდობო მანდატის შესაძლო გაუქმებისთან, რას ამბობენ აფხაზეთში საომარი მოქმედების განახლებაზე?

- გვამორიცხვია. ეს შევედრნაძესა და ნადარეიშვილს უნდა და რუსები გავიდნენ და იქ ომი დაიწყო. ომის დაწყება დღეს ჩვენს ნაგებს ნიშნავს. ეს საქართველოს ოპოზიციამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას. იქიდან გასულ რუსეთის კონტიგენტს გაეროს დამკვირვებელთა მისიაც კუდში გაჰყვება და ომს თავიდან ვერ ავიცილებთ, რის დროსაც შევარდნაძე ოპოზიციის განადგურებასაც შეეცდებოდა.

- ბევრი ამბობს, რომ თბილისში დაბრუნებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებთ, მაინც როდის აპირებთ სამშობლოში დაბრუნებას?

ველი ხალხი არ უნდა წამოვიყვანო! მოსკოვში ლტოლვილებიც ამ პოზიციას არიან. ისინი ამბობენ, რომ რუსეთთან მოლაპარაკებების ბოლომდე მიყვანა საჭიროა. ამ ხალხმა ხომ საკუთარი თვლით ნახა, ვინც ებრძოდა საქართველოს აფხაზეთში? თუ ჩვენ აფხაზეთში შესვლა გვინდა, მაშინ უნდა გვექონდეს რაღაცის ძალა ან ვიღაცის იმედი. სამხედრო ძალა და ტექნიკური აღჭურვილობა არ გვაქვს, არც იმედი, რადგანაც რუსეთი დღეს მხარს არაფერში აღარ დაგვიჭერს, რადგანაც აფხაზეთი და საქართველო ყველას უკვე ყელში ამოუვიდა, და კიდევ იმედი, რომ რუსეთმა და ამერიკამ საქართველოში უკვე ყველაფერი გადაინიღეს...

- მოსკოვში მკურნალობის კურსი ჯერ არ დამთავრებია - გულზე გადატანილი ოპერაციის შემდეგ რაღაც პროცედურებია კიდევ საჭირო...

ევროკომონტი ქართული არმიისთვის

თანგიო გომორიძე

მოდით, თავიდანვე შევთანხმდეთ - თურქეთი ევროპაა. თანაც, როგორი! ხედავთ თუ ზევთ ევროკავშირის წევრი და, თავისი ჩალმებითა და ჩადრებით, ბევრ "ნეგატივივით" თურქულს კანადინავიულებზე მეტად ევროპელიც იქნება.

ამიტომ იმაზეც უნდა დავთვინებოთ, რომ თურქეთის მიერ გაკეთებული რემონტი ევროკომონტი. სწორედ თურქეთი აპირებენ მარნეულის სამხედრო აეროდრომისა და მე-11 ბრიგადის ინფრასტრუქტურის შეკეთებას და მისაღებ კონდიციამდე მიყვანას.

ამისთვის კი ამ ქვეყნიდან მთავარი "პრარაბი" ჩამოვიდა - კაცი, რომელიც პირადად იდგა ყველა იმ გრანტის უკან, საქართველოს არმიას 1998 წლიდან რომ გამოეყო. თურქეთის გენერალური შტაბის უფროსის ჰუსეინ ქიერიქოლუს სახელს უკავშირდება 100 მილიონამდე ღირებულების სამხედრო დახმარება, რომელიც თურქეთმა საქართველოს რამდენიმე წლის მანძილზე გაუწია.

სასწავლო ცენტრისა და ფოთის საზღვაო ქვეითების ბატალიონის ბაზაზე სპეცდანიშნულების ძალების მომზადება და მრავალი სხვა რამ.

ამიტომ აღარ იყო გასაკვირი, ამ ჩამოსვლაზე ქიერიქოლუს ღირებულების ორდენი პირადად პრეზიდენტმა შევარდნაძემ რომ ჩამოჰკიდა. არც ის იყო მოულოდნელი, რომ თურქეთის გენერალური შტაბის უფროსი არც ამჯერად ჩამოსულა ხელცარიელი - ჩამოიტანა, სულ ცოტა, 2,8 მილიონი დოლარის ღირებულების გრანტი, რომელიც თავდაცვის და სასაზღვაო უწყებებს მოხმარდება.

ძირითად ნაწილს, ცხადია, თევზაძე წაიღებს. მას შეტი სჭირდება - ასეა მიჩნეული. 2002 წლის გრანტის პირობები ჯერ არ არის ბოლომდე დაკონკრეტებული, მაგრამ ცნობილია, რომ იგი მოხმარდება მარნეულის აეროდრომის შემოღობვასა და მე-11 ბრიგადის ბრიგადისთვის დამსგავსებას - თურქეთი შეაკეთებს რამდენიმე ყაზარმასა და სხვა შენობებს, ჩამოიყვანს ავტომობილებსა და სპეციალურ ტექნიკას.

ესპერტებმა კიდევ უნდა შეაფასონ ის სამუშაოები, რომელსაც ყოფილი 2,8 მილიონი დოლარი. თურქებმა ფული გამოიყვეს და მასში, როგორც გვინდა, ისე უნდა ჩავეტოთ. თუმცა, არც მთლად ასეა საქმე - რემონტსა და სამშენებლო სამუშაოებს რაც შე-

ეხება, ისინი თავად პოულობენ შემსრულებელს და თავად უსტუმრებენ ხარჯებს. მით უმეტეს, როდესაც საქმე ტექნიკის შეხებას. ყველას გექნებათ შემწეული ახალი სამხედრო "ლენდროვერები", რომლებიც 2001 წლის თურქული გრანტით ჩამოვიდა საქართველოში. მაგრამ ბევრმა, ალბათ, არ იცის, რომ ეს მანქანები თურქეთშია აწყობილი.

ამიტომ იყო, რომ არმიის გენერალმა ქიერიქოლუმ ჩემს კითხვას, ატარებთ თუ არა საქართველოსთვის განულები დახმარების მონიტორინგს, უპასუხა, არანაირი მონიტორინგი არ არის საჭირო და თქვენს თავდაცვის სამინისტროს მთლიანად ვენდობითო.

ნდობა კარგია. მაგრამ ხანდახან ჩვენი თავდაცვის სამინისტრო საკუთარ თავს ვერ ენდობა. მით უმეტეს, თურქებიც, რომლებიც ევროპელები კი არიან, მაგრამ გამჭირვალა აზიური დარჩა. თუმცა, ეს წვრილმანება, გინდ თურქულ მილიონებთან და გინდ ქართულ ორდენებთან შედარებით.

მთავარია, რომ თურქეთს წლიდან წლამდე არ უქრება საქართველოში ფულის ხარჯვის სურვილი. ჩვენ კი, ცხადია, კვლავაც მზად ვართ, ავითვისოთ ნებისმიერი თანხა, რომელსაც "გვიფეშაშებენ". არც ვალში დავგრებით - ორდენები ყველას ეყოფა.



ვაზიანის ახლადგარემონტებული ბაზა

ზურაბ აბაიძის ფოტო



ნახევარის, საფრანგეთი

REUTERS

Au Revoir!

გოლები: 1:0 რომედალი (22'), 2:0 ტომასონი (67')
მსაჯი: ვიტორ მელიო პერეირა (პორტუგალია)
სტადიონი: ინჰოპო მუნიციპალიტეტი

საფრანგეთი გაეგარდა! მსოფლიო ჩემპიონი იძულებულია, ტურნირს ქვეჯგუფის დამთავრებისთანავე დაემშვიდობოს. 59- მილიონიანი "Grande Nation" გლოვობს...

ასეთი რამ მხოლოდ ერთხელ მოხდა: 1966 წლის ტურნირზე მსოფლიო ჩემპიონმა, ბრაზილიამ, ქვეჯგუფიდან ვერ გააღწია. ის კი ჯერ არ მომხდარა, რომ მსოფლიო ჩემპიონს ერთი გოლი მაინც ვერ გაეტანოს მუნდიალზე. ამ შედეგით ფრანგები ზაირის, ავსტრალიისა და სალვადორის საზოგადოებაში გაეჩვენენ - სწორედ ამ ქვეყნების ნაკრებმა გუნდებმა მოახერხეს, რომ მსოფლიო

პირველობის 3 მატჩში ვერც ერთი გოლი ვერ გაეტანათ.

როჟე ლემერი (საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელი): "სათქმელი არაფერი მაქვს. ჩვენ გვექონდა პატარა შანსი, მაგრამ ორი წაგებით და ერთი ყაიბით მერვედფინალში გასვლას ნამდვილად არ ვიმსახურებთ. პირველივე მატჩიდან დიდი პრობლემები შეგვექმნა. ეს იმას ნიშნავს, რომ რაღაც ვერ იყო რიგზე. ამას ფეხბურთელთა ტრავმებიც დაემატა... წარუმატებლობის მიზეზებს ჩვენს ფედერაციაში გაეანალიზებენ. ჩემს თავს არაფერში ვადანაშაულებ. მარცხს ჩვეულებრივად აღვიქვამ. გადადგომას ვერ არ მიუფიქრია. და საერთოდ, საქმე როჟე ლემერში არ არის, ეს არაა მნიშვნელოვანი. მთავარია, მომავალ თაობას მივხედოთ და შემდგომ წარმატებებზე ვიფიქროთ."

მორტენ ოლსენი (დანის ნაკრების მწვრთნელი): "ეს ძალიან რთული თამაში იყო. ჩვენი გუნდი საკუთარ ძალებში დარწმუნებული თამაშობდა. საფრანგეთის წინააღმდეგ აუცილებელი იყო ორგანიზებული თამაში, ამასთანავე, ვფიქრობ, რომ ლამაზი და კომბინაციური ფეხბურთი ვაჩვენეთ. ზიდანის დაბრუნება დიდი სტიმული იყო ჩვენი მეტოქისთვის, მაგრამ ჩემმა გუნდმა მისი ნეიტრალიზება შეძლო. ისეთი ძლიერი გუნდის წინააღმდეგ, როგორც საფრანგეთი, ვერ მოიგებ, თუ მთელი გუნდით არ დაცავ თავს."

ლილიან ტურამი (საფრანგეთის ნაკრების მცველი): "ყველამ ნახა, თუ რა მოხდა: ჩვენ 0:2 წაგავით. თუ ჩვენს თამაშებს ვაღვებავთ, მეტი არც დაგვიმსახურებია. მიუხედავად ამისა, რომ დიდი სურვილი გვქონდა,

ვერაფერს იმის მსგავსს ვერ მივაღწიეთ, რასაც ვგეგმავდით. შესაძლოა 9 ქულიდან მხოლოდ 1 და ბურთების შეფარდება მინუს 3 - ეს დამთავრებული იქნებოდა. სწორი ტაქტიკა წარმატებისთვის საკმარისი არ არის. გამარჯვება შემართებას მოაქვს. ჩვენ ყველა მატჩის მოგება გვსურდა, მაგრამ რაღაც გვაკლდა. ვფიქრობ, ჩვენმა მწვრთნელმა ყველაფერი სწორად გააკეთა."

ჯიბრილ სისე (საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი): "ჩვენ მეტისმეტად იმედგაცრუებულნი ვართ. ამავე დროს ილბალმაც გვიმტყუნა. ჩვენ კარგად ვიყავით მომზადებული, მაგრამ ქვეჯგუფის დანარჩენი გუნდები ძლიერები აღმოჩნდნენ - ძალიან ძლიერები. ასეთია ფეხბურთი - არის წარმატებები და არის ჩავარდნებიც. ახლა მომავალზე უნდა ვიფიქროთ. უკეთესი დღეები კიდევ იქნება."

პრესის კომენტარები:

საფრანგეთი:
L' Equipe: "Adieu Les Blues - სასწაული არ შედგა!"
Le Figaro: "ფრანგული ოცნების დასასრული"
Le Monde: "საფრანგეთი განადგურებულია"
Liberation: "ლურჯები ფსკერზე დაეშვნენ"

ინგლისი:
The Sun: "წყველი ლურჯები! საფრანგეთი ჩემპიონატიდან გამოვარდა!"
The Mirror: "საფრანგეთში იმედგაცრუება, მაშინ როდესაც დანია ტრიუმფს ზეიმობს"
Daily Telegraph: "საფრანგეთი გამოადევს!"

ესპანეთი:
Marca: "წადით სახლში!!! მსოფლიო ჩემპიონის სევილიანი დასასრული"
As: "სამშობლოში!"
La Vanguardia: "Au Revoir! საფრანგეთი უკანა კარიდან ტოვებს ჩემპიონატს"

გერმანია:
Bild: "2:0-სენსაცია - დანია საფრანგეთი გააგლო"
Express: "Adieu les bleus - ზიდანის იყო, მაგრამ ფრანგებმა მაინც წააგეს"
Die Welt: "საფრანგეთი ფსკერზეა - მსოფლიო ჩემპიონი გაეგარდა"

ავსტრია:
Krone: "Ade, საფრანგეთი!"
Der Standard: "Adieu les bleu, საფრანგეთი გაეგარდა!"

საფრანგეთი

მწვრთნელი: როჟე ლემერი

შეცვლა: დიუგარი - სისე 54', ვიეირა - მიკა 71', ვილტორდი - კორკაუდი 83'

გატრახილება: დიუგარი 8'

განლაგება: 4-3-2-1

საფრანგეთი 0:2 დანია

დანია

მწვრთნელი: მორტენ ოლსენი

შეცვლა: იორგენსენი - გრონიკიური 46', პოულსენი - ბეგელუნდი 78', ტოფტინგი - ნილსენი 79'

გატრახილება: პოულსენი 27', იენსენი 71'

განლაგება: 4-4-2



REUTERS

პირველი აფრიკელი მარვედფინალში

სენეგალი
მწვრთნელი: ბრუნო მეცუ
შეცვლა: კოლი - ბეი 83', კამარა - ნდია 87', ნდურე - ფაი 76'

გაფრთხილება: კამარა 2', დაფი 4', კოლი 39', ვ.პ. დიოპი 83', ფადიკა 87', ბეი 88'

განლაგება: 4-4-2

ტაბუი ა სენეგალი 3:3 ურუგვაი

ურუგვაი
მწვრთნელი: ვიქტორ პუა
შეცვლა: სორონდო - რევერო 32', აბრე - მორალესი 46', რომერო - ფორლანი 46'

გაფრთხილება: რომერო 8', კარნი 19', გარსია 36', მონტერო 45'

განლაგება: 3-5-2

გოლები: 1:0 ფადიკა პენ. (20'), 2:0 კ.პ. დიოპი (70'), 3:0 კ.პ. დიოპი (38'), 3:1 მორალესი (46'), 3:2 ფორლანი (69'), 3:3 რეკობა პენ. (88')


სტადიონი: სუვერი 33681 მაყურებელი
სენეგალის უკანასკნელმა ჯგუფურმა მატჩმა ურუგვაის წინააღმდეგ დაამტკიცა, რომ ამ გუნდს საფრანგეთის ნაკრები შემთხვევით არ დაუმარცხებია. ბევრი ფიქრობდა, რომ სენეგალი გამარჯვება პირველ შეხვედრაში სენეგალურ ეთაპედტარ ნარმატებად დარჩებოდა, მაგრამ აფრიკელები მერვედფინალში არიან.

ურუგვაელთა კარში 3 გოლის გატანა, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამ ტურნირზე დიდად ვერ გაიბრწყინეს, ადვილი არ არის. სენეგალმა კი ეს შეძლო და დამსახურებულად აგრძელებს ბრძოლას შემდეგ ეტაპზე.

სახელოვნმა თანაკონტინენტელებმა - ნიგერიამ და კამერუნმა ვერ გააღწიეს თავიანთი ჯგუფებიდან. სენეგალის ტრიუმფის გამოგონების შანსს ჯერ კიდევ ინარჩუნებენ ტუნისი და სამხრეთაფრიკელი "ბაფანა-ბაფანა".

ბრუნო მეცუ (სენეგალის ნაკრების მწვრთნელი): "ეს მართლაც განსაკუთრებული ამბავია - ჩვენ მერვედფინალში გავედით. დავამტკიცეთ, რომ მსოფლიოს 16 უძლიერეს გუნდს მივუყუთვებით. ეს გამარჯვება, პირველ ყოვლისა, აფრიკულ ფეხბურთს წაადგება. მატჩის პირველი ტაიმი საუკეთესოდ ჩავატარეთ. მეორე ნახევარში ინიციატივა დავთმოთ და ბევრიც ვინერგულეთ."

ვიქტორ პუა (ურუგვაის ნაკრების მწვრთნელი): "პირველი ნახევარი ნამდვილი კომპარტი იყო. მაგრამ მეთამაყებამ ის, რაც ჩემმა ბიჭებმა მეორე ტაიმი გააკეთეს. თამაშის ასეთ შემოტრიალებას ნამდვილად აღარ ველოდი. სამწუხაროდ, შანსი ბოლომდე ვერ გამოვიყენეთ. ამავ დროს, მსაჯის უსამართლო გადაწყვეტილებების მსხვერპლიც ვავხდით. თუმცა, მარცხის მიზეზი ეს არ არის. ჩვენ სამი ძალიან ძლიერი მეტოქე შეგვხვდა."



გერმანია - "ლოპეზის" მომთვიონიერება

გერმანია
მწვრთნელი: რუდ ფილიფი
შეცვლა: იანკერი - ზოდე 46', კლოზე - ნოვილი 84', შნაიდერი - იგრემისი 80'

გაფრთხილება: იანკერი 9', ზალაკი 32', ჰამანი 29', რამშლოვი 37', კანი 42', ფრინგსი 72', ფრინგსი 74', გაძეგება: რამშლოვი 40'

განლაგება: 3-5-2

ტაბუი ე გერმანია 2:0 კამერუნი

კამერუნი
მწვრთნელი: ვინფრიდ შუფერი
შეცვლა: ჩაბო - სიფო 53', ოლუმბე - კომე 64'

გაფრთხილება: ფო 8', სონგი 42', ჩაბო 44', ბერეკი 58', ოლუმბე 58', სიფო 80', ლორენი 81'

გაძეგება: სიფო 77'

განლაგება: 4-4-2

გოლები: 1:0 ბოდე (50'), კლოზე (79')
მსაჯი: ანტონიო ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)
სტადიონი: შიზუოკა სტადიონი 47085 მაყურებელი

სანაქებოდ მომართული გერმანული მანქანა ის შექენიზში აღმოჩნდა, აფრიკაში მოუფინერებლები აზიაში რომ მოათვინერა ევროპული ნესით. ყველაფერი ისე მოხდა, როგორც უნდა მომხდარიყო - კლასში სხვაობა ზომ მუდამ იჩენს თავს იმ გუნდთა ფილიში, რომელთაგან ერთი მხოლოდ მონდომების ხარჯზე ცდილობს მეორის დამარცხებას. ასეთი გუმინ კამერუნის ნაკრები იყო.

ვინფრიდ შუფერი (კამერუნის ნაკრების მწვრთნელი): "ისე და ისე ფეხბურთელთა უღმრთობის დავგელუპა. მეორე ტაიმი მათ არ შეასრულეს ჩემი დავალებები. იმის მაგივრად, რომ ფლანგებიდან ემოქმედათ, რატომღაც, მუდამ ცენტრიდან უტევენ. ამან კი მეტოქის წისქვილზე დასხა წყალი. ყველაფრის მიუხედავად, მე მთლიანად იმ ვარს, რადგან მოსაგებად ძალ-ღონე არ დამიურეს."

რუდ ფილიფი (გერმანიის ნაკრების მწვრთნელი): "შეტოქე მხოლოდ პირველი ტაიმის რაღაც ნაწილში ვჯვობდა. ის მომენტები რომ გამოეყენებინათ, რომლებიც მათ შექენეს ამ პერიოდში, ჩვენს ნაცვლად ისინი იქნებოდნენ გახარებულნი. მარკოს გოლის შემდეგ ყველაფერი ნათელი გახდა. დარწმუნებული ვიყავი, რომ კამერუნელები ორი გოლის გამტანი არ იყვნენ და ცოტა დავშევიდედი, თორემ ძალიან ვნერვიულობდი."



შედეგი, რომელიც არავის უკვირს

ირლანდია
მწვრთნელი: მიკ მაკაირტი
შეცვლა: პარტი - ქუნი 46', კელი - მაკაირტი 80', კონსელა - კარსლი 89'

გაფრთხილება: სტანტონი 70'

განლაგება: 4-4-2

ტაბუი ე ირლანდია 3:0 ს. არაბეთი

საუდ. არაბეთი
მწვრთნელი: ნასერ ალ-ჟაჰირი
შეცვლა: ალ-ჰათრანი - ალ-ზალი 87', ზურომბი - ალ-დოსარი 88', ალ-ჰაჰანი - ალ-დოსარი 79'

გაფრთხილება: ალ-ტემიტი 80'

განლაგება: 3-5-2

გოლები: რობი კინი (7'), ბრინი (61'), დაფი (87')
მსაჯი: ფალა ნდიოე (სენეგალი)
სტადიონი: საერთაშორისო სტადიონი 65320 მაყურებელი

ალბათ, აჯობებდა საუდელ არაბ შვიებს, ფეხბურთის ნაცვლად სხვა რამეში ჩადიოთ ფული. ამ საქმიდან რომ არაფერი გამოსდით, საუდის არაბეთის ნაკრების ასაპურზობიდანაც გამომჩნდა. პრინცი ბინ ფადლი, რომელიც, ამავე დროს, იქაური ფეხბურთის მამაცაა, იყო ინიციატორი, რომ ნაკრების მწვრთნელად ადგილობრივი მასშტაბის სპეციალისტი, ნასირ ალ-ჯოჰარი მიენიათ. ამასაც რომ თავი დავანებოთ, დღევანდელი ნაკრები უმეტესად, წინა მუნდიალზე ხელმოცარული ფეხბურთელებისგან იყო დაკომპლექტებული. ამიტომაც, არაბთა ასეთი შედეგი, გასაკვირი სულაც არ არის.

ნასირ ალ-ჯოჰარი (საუდის არაბეთის ნაკრების მწვრთნელი): "მეორე ტაიმშიც ისევე რომ გვეთამაშა, როგორც პირველში, ფრედ მაინც დავასრულედი მატჩს. მსოფლიო ჩემპიონატზე კრაბი განვიცადეთ, რისთვისაც ბოდიშს ვუხედი ყველა გულშემატკივარს. ჩვენი ქვეყნის ფეხბურთის პრესტიჟი მომავალმა თაობამ უნდა აღადგინოს და, დარწმუნებული ვარ, ამას შეეძლებს კიდევ".

მიკ მაკაირტი (ირლანდიის ნაკრების მწვრთნელი): "რატომღაც, ისე ხდება, რომ მეორე ტაიმში უკეთესად ვთამაშობთ ხოლმე. ასე იყო ამჯერადაც. შესვენების შემდეგ ჩვენ პირუშინად დავჩაგრეთ მეტოქე. სიმაართე ვითხრათ, ამ მატჩზე იმდენად არ ფიქრობდი, რამდენადაც მერვედფინალში ჩვენს მოვალ მეტოქეზე. იქ როგორმე პირველ ტაიმშიც სათანადოდ უნდა ვითამაშოთ, თორემ მარტო მეორე ნახევარში თამაში ფონს ვერ გავალით. არადა, ნამდვილად შეგვჩვენეს ძალა, მეოთხედფინალში გავიდეთ."



თეატრალური პელოცვა თუ კოლიტიკური კონფორმიზმი

სახელმწიფო დონაციაზე სპეციალურ დაფინანსებას უპირიყვამ



პირა ნავარნიძე

ქართულ საოპერო სცენაზე პრემიერა იგეგმება. დათო დოიანიშვილის, ნიკა მემანისვილისა და მკაცრ ასათიანიშვილის სამუშაო კომპლექსი უკვე დაიწყო. თბილისი მუსიკალური დრამაზე მუშაობს.

გაუთქვამს თუ არა ახალგაზრდა შემოქმედთა ჯგუფი სტუდია-მუსიკალური-კამერალის მსგავსად ქართულ თეატრს სახელს, ამას მომავალი დაგვანახებს. მაგრამ, თავად ფაქტი, რომ თანამედროვე თეატრშიც გამოჩნდა თანამოაზრეთა შემოქმედებითი წრე, სასიამოვნო უნდა იყოს.

ნიკო ლორთქიფანიძის ნაწარმოები “მელოცვა რადიოთი” დათო დოიანიშვილმა ექვსი წლის წინათ შეარჩია. მარჯანიშვილის თეატრის მთავარ რეჟისორს სურდა თეატრთან ჩამოყალიბებული ბიგ-ბენდისთვის შექმნილიყო მიუზიკლი, სადაც თეატრის დასი მიიღებდა მონაწილეობას. მოთხრობა, რომელიც 20-იანი წლების საქართველოს მდგომარეობას ასახავს, შეოცნებებდა ქართულ ლიტერატურის ერთ-ერთი სა-

უკეთესო ნიმუშად ითვლება. თავდაპირველად გაკეთდა ლიბრეტო მიუზიკლისთვის; მუსიკის დანერგა კი სხვადასხვა დროს რამდენიმე კომპოზიტორს სთხოვეს, მაგრამ ვერცერთმა მათგანმა ვერ მოახერხა ნაწარმოების დასრულება. მოკლედ, დოიანიშვილი სპექტაკლზე სხვა პროექტების პარალელურად მუშაობდა. მარშან კი, როდესაც “ჯინსების თაობა” წამოიწყო, რეალურ თანამზარაველებს მიაგნა.

“ჯინსების თაობის” პრემიერის დამესვე მითხრა დოიან: დაივნიყვე ყველაფერი, ახალ პროექტზე ვინყვებთ მუშაობასო, – იხსენებს ახალგაზრდა კომპოზიტორი, ნიკა მემანისვილი. დოიან და ნიკამ პირველად “ჯინსებზე” ითანამშრომლეს. გამეორებული სპექტაკლის შემდეგ მემანისვილი დაბრუნდა ენაში, სადაც მეთხებ ნელნაღია ცხოვრობს. საბოლოოდ სწორედ იქ გადაწყვიტა, მიეღო დოიანის ნინადადგმა. მუსიკაზე მუშაობის დანებება კი მეტად უცნაურ პირობებში მოუწია. კერძოდ კი ყინვალში, სადაც საერთო მეგობრების მინვევით დოიანთან და რამდენიმე მეგობართან ერთად ისვენებდა. “დათო მ ჩაქეტა ოთახში, სადაც იყო პი-

ანინო და ყოველდღე მძღვედა და ვალელებს, დამენერა მუსიკა”. მაგრამ უჩვეულო ის იყო, რომ პიანინოზე, რომელზეც ნიკას უწვევდა მუშაობა, მხოლოდ 5-6 კლავიში უკრავდა.

მემანისვილის ინიციატივით, სპექტაკლის კოსტუმების მზატვრად, ხოლო დოიანის დაუინებებ, სცენის დეკორაციებზე, მკაცრ ასათიანიშვილი, შეგახსენებთ, ოთხი წლის წინათ ნიკა მემანისვილი-ასათიანიშვილი-საყვირელიძის ტრიადამ საკმაოდ წარმატებულად დაამუშავეს სარის-ტელებად ითქვას, ერთადერთი თანამედროვე საოპერო წარმოდგენა, “ვერიდიკე” შექმნა. მკაცრ ასათიანიშვილის სცენის დეკორაციის ჩატარება, მართლაც შეიძლება დოიანიშვილის სარის-კო ექსპერიმენტად ჩაუთვალოთ, ხოლო, როგორ შეძლო ახალგაზრდა დიზაინერმა პარიზში მისთვის სრულად უცხო საქმის შესწავლა, ამას სპექტაკლის საარემბიტრო ჩვენებებზე ვნახავთ.

სპექტაკლზე მუშაობისას ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: სპექტაკლი მარჯანიშვილის თეატრში უნდა დადგმულიყო; მაგრამ, როგორც ავტორმა გაგვანდო, მუსიკა გასცდა მიუზიკლის ფარგ-

ლებს და ხასიათით თანამედროვე ოპერას დაემსგავსა. ოპერისთვის კი, მარჯანიშვილის სცენა პატარა აღმოჩნდა. “ჩემთვის ოპერის სიერცე ამ ყველაფერისთვის იდეალური იქნება, მაგრამ, მარჯანიშვილი, პირიქით – მცირე”, – მიაჩნია კომპოზიტორს. ამ ცვლილების გამო, წარმოდგენაში აღარ მიიღებს მონაწილეობას მარჯანიშვილის თეატრის ბიგ-ბენდი, სამაგიეროდ, შემსრულებელთა რიცხვს დაემატება ოპერის კაპელა. გარკვეულ რეალობებში დაკავშირების საოპერო მომღერლები.

არ შეცვლილან წამყვანი დრამატული როლების მსახიობები. ესენი არიან: ამირან ამირანაშვილი, ნიკა თავაძე, გიორგი ნაკაშიძე. მთავარი როლები ეკა კახიანიშვილი, ნიკა არამარტო ქართული ტელესერიალების მოყვარულს გააკოცებთ. აღსანიშნავია, რომ სპექტაკლის ყველაზე ალტერნატიული მსახიობი-მომღერალი ნინო ქაიამაძე აქ დედის ნიჭით ითამაშებს.

საოპერო პრემიერის შემთხვევაში ყოველთვის აქტუალურია ფინანსური მხარისადმი განსაკუთრებული ყურადღება, ვინაიდან ოპერა, ალბათ, ყველაზე ფერადილირებული ხე-

ლოვნებაა. ასე იყო “ვერიდიკეს” დროსაც, როდესაც მავანი ამტკიცებდა, სპექტაკლის დაფინანსება საკუთარ თავზე აიღო სპორტის დეპარტამენტის მამოძღველმა თავმჯდომარემ, კახი ასათიანიშვილი. რამდენადაც არ უნდა გაგვიყვირდეთ, ახლანდელი დემოკრატიული თეატრიდან განდევნილ რეჟისორს სახელმწიფოს დახმარების იმედი აქვს. უფრო სწორად, პანკისის ხეობაში მოდების წარმატებული ჩვენების შემდეგ (მკაცრ ასათიანის გახმარებული ლონისძიების რეჟისორი დათო დოიანიშვილი იყო), პრეზიდენტის დავლებით, სახელმწიფო მინისტრი ახალგაზრდა ხელოვნების პროექტის ფინანსურ მხარდაჭერას შეუპირდა. რაც შეეხება ხარჯთაღრიცხვას, მემანისვილის თქმით, სპექტაკლი ასოთხი ათას სამასობრივ მოცდაათი ამერიკული დოლარი დაჯდება. “ყოველ შემთხვევაში, დაპირებებით და ფურცლებზე, ეს თანხა გვაქვს. იმ შემთხვევაში, თუ ყველაფერი შეიცვალა, ჩვენ არ ვაპირებთ გაჩერებას – ვმუშაობთ და, ბოლოს და ბოლოს, ღია ცის ქვეშ გაგმართათ წარმოდგენებს”, – პრინციპიალურად აცხადებს ნიკა მემანისვილი.

ახსავი

New Art მუსიკალური პროექტი

გალერეა და არასამთავრობო ორგანიზაცია-კავშირი “ახალი ხელოვნება” (New Art) მუსიკალური კომპლექტ-დისკის გამოცემას აპირებს. ოთხდისკიანი კრებული, სადაც ქართული ხალხური სიმღერები, საცეკვაო მელოდები და ფოლკლორის ნიმუშები (ლექსები) შევა, სავარაუდოდ, ოქტომბრისთვის გამოვა. ამჟამად იდეის ავტორები მასალებს არჩევენ, დეტალებს კი მოგვიანებით გახამდებენ.

შეცდარი კვლავაც აქტუალურია

დღე ბრიტანეთში ახალი გამოკითხვა ჩატარდა, რომლის მიზანიც უილიამ შექსპირის პოპულარობის განსახლვერა იყო. აღმოჩნდა, რომ 15-35 წლის გამოკითხული ბრიტანელებისათვის შექსპირის შემკვიდრობას დღესაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მათი აზრით, შექსპირის ნაწარმოებების პრობლემასტიკა დაღესაც ძალზე აქტუალურია. გამოკითხვა შექსპირის სამეფო საზოგადოების დავლებით კომპანია “მორი” ჩატარდა. ერთ-ერთი საკითხი იყო ახალგაზრდების თეატრსადმი დამოკიდებულება. აღმოჩნდა, რომ ბრიტანელების ახალი თაობა თეატრს მოსაწყენ მოუდ სულაც არ აფასებს. თანაფარდობა სპექტაკლსა და როკ-კონცერტზე დასწრებას შორის არც ისეთი კატასტროფული იყო. გამოკითხვითა მხოლოდ სამი პროცენტი ფიქრობდა, რომ შექსპირის პიესის სცენაზე ხილვას არასდროს მოინდომებს.

თუმცა, თავისთავად, თეატრმა კინოს მაინც ვერ აჯობა. რეიტინგებში კინოს 79 პროცენტი ხვდა წილად, ღამის კლუბებსა და დისკოტეკებს – 49 პროცენტი, სპორტს კი – 45 პროცენტი.

აიხმავი თამბდომარეა

ორგანიზატორებმა მოსკოვის 24-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ფიურის ნევერების ვინაობა გაამოაცხადეს. ფიურის თავმჯდომარის პოსტს მწერალი და სცენარისტი რინგო აიტმატივი ჩატარებს. რიგით ნევერად კი ფრუტ ჩანი, რაკუნ ბანი ეტიმადი, ვესიკა პაუსნერი, დომინიკ ბორგი და იოს სტელინგი მოგვევლინებიან.

უკვე ცნობილია საკონკურსო პროგრამაში შემავალი ფილმებიც. ამ 16 ფილმიდან სამი რუსულია. “გუგული” ლექსანდრა როგოვინის ნაშრომია, “სისხლის მარტოობა” – რომან პრიგუნოვის ეკუთვნის, “ჩეხური მოტივები” კი – კირა მურატოვის. უფრო დაწერილებით ინფორმაციას კონკურსის მიმდინარეობის შესახებ ორგანიზატორები ფესტივალის ინტერნეტ-საიტზე განათავსებენ.

ბუნებრივია, ჟურნალისტების განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო ფესტივალზე მინვეული ვარსკვლავების ვინაობამ. თუმცა, ორგანიზატორები ვერ არაფერს აკონკრეტებენ. ნიკიტა მიხალკოვის აზრით, პრობლემას ქმნის ის ფაქტიც, რომ მსოფლიო კინოს ვარსკვლავებს მოსკოვის საერთაშორისო ფესტივალზე ჩასვლისათვის ჰონორარს არასდროს უხდნენ.

30 ივნისი (21:00) - ფილარმონიის ობიტი საკონკერტო მარაზნი
დათო დოიანიშვილი, ნიკა მემანისვილი
21:40 სთ - ჭანის ბაიანი და „მთა ბრახნილი“ კვარტეტი. (ხალხური)

2 ივნისი (21:00) - ფილარმონიის საკონკერტო მარაზნი
დათო დოიანიშვილი, ნიკა მემანისვილი
ზორა მინაშვილი და თორნიკე ბი-ბი-ბი (სპა-საკონკერტო)
ამბ-ის საბილეთო და გადამხმდელთა საბილეთო მმართველობა

3 ივნისი (21:00) - ფილარმონიის საკონკერტო მარაზნი
საკონკერტო მარაზნი
დათო დოიანიშვილი, ნიკა მემანისვილი

3 ივნისი (21:00) - კლავი პიკო, კონსტანტინე მარაზნი
კლავი პიკო და თორნიკე ბი-ბი-ბი (სპა-საკონკერტო)
კლავი პიკო და თორნიკე ბი-ბი-ბი (სპა-საკონკერტო)

4 ივნისი (21:00) - კლავი პიკო, კონსტანტინე მარაზნი
დათო დოიანიშვილი, ნიკა მემანისვილი
22:00 დიანი რეჟისორის ბილეთები და კომპანიის ობიტი ბილეთები

5 ივნისი (21:00) - კლავი პიკო, კონსტანტინე მარაზნი
დათო დოიანიშვილი, ნიკა მემანისვილი
კლავი პიკო და თორნიკე ბი-ბი-ბი (სპა-საკონკერტო)

თბილისის მე-6 საერთაშორისო
კანონ - ფესტივალის პროგრამა



გუშინ შედგა პოლ მაკარტნისა და ჰითერ მილზის ქორწილი. მიუხედავად იმისა, რომ ჰითერის გერი, 30 წლის სტელა მაკარტნი მალაღი მოდის სამყაროში მიღებული სახელია, პატარაძალ ცერემონიაზე მის მიერ შექმნილი კაბა არ ეცემა. პოლ მაკარტნის განმარტებით, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მის შვილსა და ცოლს შორის დამოკიდებულება დაძაბულია: "ჰითერს, უბრალოდ, თავისი დიზაინერები ჰყავს".

დევიდ ბექჰემის სკორტული კოლექცია

კომპანია "ადიდასმა" ბრიტანეთში ყველაზე გემოვნებიან მამაკაცად აღიარებული დევიდ ბექჰემის სპორტული ტანსაცმლის კოლექცია გამოუშვა. დიზაინზე სპეციალისტებთან ერთად ფეხბურთელმაც იმუშავა. ახალი კოლექციის ყველა ნიმუშს აქვს დევიდ ბექჰემზე მისანიშნებელი სიმბოლოები - ფეხბურთელის ინიციალი "დბ", ნომერი 7, კაპიტნის . კოლექციის ძირითადი ფერებია: წითელი, თეთრი და ცისფერი.



"ყოველთვის მაინტერესებდა მოდა და დიზაინი, ამიტომაც ძალიან გამიხარდა, რომ გამიჩნდა შესაძლებლობა, შემეძინა საკუთარი კოლექცია", - თქვა ცნობილმა ფეხბურთელმა ერთ-ერთ ინტერვიუში.

მარადონა მტრებისთვის იტყავებს

ყოფილი არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო მარადონა, რომელიც იაპონიაში მსოფლიო ჩემპონატზეც კი არ უნდათ მიიწვიონ ნარკოტიკებთან დაკავშირებული სკანდალების გამო, საზოგადოების ყურადღების მიპყრობას გადასალბებელი მოხვედრად, მონაწილეობა მიიღოს მცირე როლზე ფილმში "თამაში მტრისთვის". ფილმი მოგვითხრობს ფეხბურთელზე, რომელიც არგენტინაში გაემგზავრა და იქ სპორტულ ვარსკვლავად იქცა. თუ გაგიტყავს მონაწილეობაში მსოფლიო ჩემპონატზე ინგლისისა და არგენტინის მტრობას (ერთ ქვეჯგუფში მოხვედრა) და გაიხსენებთ ორი ქვეყნის საომარ მოქმედებებს ფოლკლენდის კუნძულების გამო, იგლისურ-არგენტინული კინო-პროექტი, მითუმეტეს ისეთი დიდი ფიგურის მონაწილეობით, როგორცაა დიეგო მარადონა, შეიძლება ამ ქვეყნებს შორის შერიგებისა და მშვიდობის მხარდაჭერის ინიციატივად მივიჩნიოთ. რაც შეეხება ფილმში დაკავებულ სხვა მსახიობებს, ისინი ახალგაზრდები და ფართო საზოგადოებისთვის არც ისე ცნობილი არიან.



ბორის ბეკერი მსახიობობს

კიდევ ერთი სპორტსმენი აპირებს კინოში ძაღლების მოსიზვევას. მას-შედეგის სხვადასხვა საშუალებებისთვის მიცემული ინტერვიუებისას სამხაიობო კარიერის პერსპექტივაზე ბორის ბეკერიმ ისაუბრა. ამერიკელი და ინგლისელი კინო-პროდუსერების უამრავი შეთავაზებებიდან, ბეკერის განსაკუთრებული ყურადღება არცერთს მიუქცევია, თუმცა მცირე როლების შესრულებისთვის ის მზადაა.

ბალაჰერების ზოუ

"ოაზისის" წევრებმა გადანყვიტეს, ოზი ოსბორნს მიბაძონ და შექმნან ტელესერიალი, რომელსაც საკუთარ ჯგუფს მიუძღვნიან. როგორც ნოელ გალაჰერმა New Musical Express უთხრა, ნელს ჯგუფის წევრები ასეთ ფილმზე დაინყვიბენ მუშაობას. მისივე თქმით, ჯგუფის ტურნეების მენეჯერი 1995 წლიდან მოყოლებული ვიდეოკამერით იღებდა "ოაზისის" კონცერტებსა და კულისებს მიღმა ცხოვრებას. "მის არქივში ბევრი საინტერესო ფირი დაგროვდა და კარგი იქნებოდა, თუკი ჩვენს თავყვანისმცემლებს მათი ნახვის საშუალება მიეცემოდათ", - დაამატა ნოელმა. ამას გარდა, ნოელმა სურვილი გამოთქვა, მისსა და ლიამის სახლებში კამერები დაამონტაჟონ, რათა მათმა ფანებმა მეტი შეიტყონ მუსიკოსებზე. ტელეკომპანია Sky-ს აღმასრულებელი პროდუსერი დაინტერესდა ამ პროექტით. "ჩვენი აზრით, ეს შოუ ოსბორნების შოუზე არანაკლებ პოპულარული იქნება", - ივარაუდა მან.



TV პროგრამა 12 ივნისი

Table with TV program details for 'რუსთავი - 2' channel, listing times and program titles.

Table with TV program details for 'პირველი არხი' channel, listing times and program titles.

Table with TV program details for 'მეორე არხი' channel, listing times and program titles.

Table with TV program details for 'მერკა' channel, listing times and program titles.

Table with TV program details for 'იმერია' channel, listing times and program titles.

Table with TV program details for 'პირველი სტრემი' channel, listing times and program titles.

Table with TV program details for 'კავკასია' channel, listing times and program titles.

ენა ნოზარეო ბაშოკიანის იანოვარი კორონორდის ბასანი




Table with TV program details for 'მესხური არხი' channel, listing times and program titles.

Table with TV program details for 'ატარის ტელევიზია' channel, listing times and program titles.

Table with TV program details for 'VII არხი' channel, listing times and program titles.

Table with TV program details for 'იმერია' channel, listing times and program titles.

Table with TV program details for 'OPT' channel, listing times and program titles.

Table with TV program details for 'RTP' channel, listing times and program titles.

Table with TV program details for 'ჩვე' channel, listing times and program titles.